



საქართველოს თავდაცვის მინისტრის
ბრძანება

ქ. თბილისი



MOD 4 18 00000533

28/06/2018

უფლებამოსილებათა მინიჭების შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლის, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის VII თავის, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის XVI¹ თავის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის და 74-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 22 ნოემბრის №297 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-4 და მე-5 პუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

მუხლი 1.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის პირველ მოადგილეს **ლელა ჩიქოვანს** მიენიჭოს უფლებამოსილება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) სახელით ხელი მოაწეროს ადმინისტრაციულ ორგანოებთან, კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან და სხვა ტიპის ორგანიზაციებთან (გარდა საგანმანათლებლო დაწესებულებებისა) ურთიერთთანამშრომლობის შესახებ დოკუმენტებს.

მუხლი 2.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილეს **ნუკრი გელაშვილს** მიენიჭოს უფლებამოსილება:

- ა) განახორციელოს საპარლამენტო მდივნის ფუნქცია;
- ბ) სამინისტროს სახელით ხელი მოაწეროს:
 - ბ.ა) სამინისტროს მოსამსახურეთათვის საგამოძიებო ორგანოებში, ადმინისტრაციულ ორგანოებსა და სასამართლოში სამინისტროს წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების დამადასტურებელ დოკუმენტებს, მათ შორის, სარჩელის აღძვრის, სარჩელის/საჩივრის მოთხოვნაზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარის თქმის, სარჩელის/საჩივრის ცნობის, სარჩელის/საჩივრის საგნის შეცვლის, აგრეთვე მორიგების, სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების, სააღსრულებო ფურცლის გადასახდევინებლად წარდგენის, სააღსრულებო წარმოებისას წერილობითი გაპროტესტების, დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანების გასაჩივრების და მიკუთვნებული ქონების ან ფულის მიღების შესახებ;
 - ბ.ბ) სამინისტროს მიერ განხილულ ადმინისტრაციულ საჩივრებთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებებს (ბრძანებებს);
 - ბ.გ) საგანმანათლებლო დაწესებულებებთან დადებულ მემორანდუმებს.

მუხლი 3.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილეს **გიორგი ბუთხუზს** მიენიჭოს უფლებამოსილება:

ა) სამინისტროს სახელით ხელი მოაწეროს:

ა.ა) სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებებს;

ა.ბ) სამინისტროს ბალანსზე რიცხული, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავ-მოდრავი ქონების სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისათვის და სხვა ადმინისტრაციული ორგანოებისათვის გადაცემის შესახებ მომზადებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს;

ა.გ) ფიზიკური ან კერძო სამართლის იურიდიული პირისაგან გადმოცემული ქონების უსასყიდლოდ, საჩუქრის ფორმით მიღებისა და ბალანსზე აყვანის შესახებ მომზადებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს;

ა.დ) სამინისტროში ეკონომიკურ და ლოგისტიკურ საკითხებთან დაკავშირებით კომისიების შექმნის შესახებ მომზადებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს;

ა.ე) სამინისტროში ეკონომიკურ და ლოგისტიკურ საკითხებთან დაკავშირებით სამინისტროს სახელით დასადებ ხელშეკრულებებს ადმინისტრაციულ ორგანოებთან, ფიზიკურ პირებთან და კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან (ბანკი, საკრედიტო გაერთიანებები, დაწესებულებები და სხვ.);

ა.ვ) სამინისტროში ეკონომიკურ და ლოგისტიკურ საკითხებთან დაკავშირებით სამინისტროს მოსამსახურეთათვის სამინისტროს წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების დამადასტურებელ დოკუმენტებს;

ა.ზ) ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს სამინისტროს მოსამსახურეებისთვის ბინის დაქირავებისა და მისი ღირებულების ანაზღაურების თაობაზე;

ა.თ) სამინისტროს სამოქალაქო/სპეციალური წოდების მქონე პირთა სანივთე ქონებით უზრუნველყოფის შესახებ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს;

ბ) მიიღოს გადაწყვეტილება სამინისტროს მიერ იმ სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების და შესაბამისი საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივი გამოყენების შესახებ, რომლებზეც არ ვრცელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედება.

მუხლი 4.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილეს **ზაალ კაპანაძეს** მიენიჭოს უფლებამოსილება სამინისტროს სახელით ხელი მოაწეროს:

ა) სამინისტროში სამედიცინო და სოციალურ საკითხებთან დაკავშირებით კომისიების შექმნის შესახებ მომზადებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს;

ბ) სამინისტროში სამედიცინო და სოციალურ საკითხებთან დაკავშირებით სამინისტროს მოსამსახურეთათვის სამინისტროს წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების დამადასტურებელ დოკუმენტებს;

გ) სამინისტროში სამედიცინო და სოციალურ საკითხებთან დაკავშირებით მოქმედი კომისიების მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესრულებისათვის საჭირო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს.

დ) სამედიცინო, სოციალურ, კულტურულ და სპორტის საკითხებთან დაკავშირებით გასაფორმებელ მემორანდუმებს.

მუხლი 5.

1. მიენიჭოს უფლებამოსილება საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსს ხელი მოაწეროს შემდეგ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს:

ა) სამინისტროს ბალანსზე რიცხული მოძრავი ქონების (საავტომობილო, სპეციალური, საინჟინრო და ჯავშანსატანკო ტექნიკის, აგრეთვე მცურავ-საფრენოსნო საშუალებების) სამინისტროს სისტემის (გარდა საჯარო სამართლის იურიდიული პირების) ქვედანაყოფებისთვის გადაცემის შესახებ;

ბ) სასწავლო პროგრამების და სამხედრო განათლებასთან დაკავშირებული სახელმძღვანელოების დამტკიცების, აგრეთვე, წვრთნის/სწავლების/კურსის ჩატარების (გარდა იმ შემთხვევისა, თუ

აღნიშნული დაკავშირებულია დამატებით სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან ან წარმოადგენს საერთაშორისო/მრავალეროვნულ წვრთნას/სწავლებას/კურსს ან ტარდება სხვა უწყებასთან ერთობლივად) შესახებ;

გ) წვრთნებისა და სწავლებებისათვის უსაფრთხოების ნორმების დამტკიცების შესახებ;

დ) სამინისტროს სამოქალაქო ოფისისა და გენერალური შტაბის მოსამსახურეებისათვის ავტომანქანის მიმაგრების შესახებ;

ე) ავადმყოფობის გამო შვებულების გაგრძელების შესახებ (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 მარტის №238 დადგენილებით დამტკიცებული „სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ“ დებულების მე-16 თავის მე-9 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში);

ვ) სამინისტროს სამოქალაქო ოფისის მოსამსახურეებზე იარაღის მიმაგრების შესახებ;

ზ) სამინისტროს სამოქალაქო პირების კვების კმაყოფაზე აყვანის შესახებ.

2. საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსს საკურატორო უფლებამოსილებაში გადაეცეს:

ა) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია;

ბ) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმი.

მუხლი 6.

მიენიჭოს უფლებამოსილება სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის უფროსს, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში მისი უფლებამოსილების განმახორციელებელ პირს, სამინისტროს სახელით ხელი მოაწეროს სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებებს, თუ სახელმწიფო შესყიდვის ღირებულება არ აღემატება 100 000 (ასი ათასი) ლარს.

მუხლი 7.

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „უფლებამოსილებათა მინიჭების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2016 წლის 5 დეკემბრის № MOD 9 16 00001034 ბრძანება.

მუხლი 8.

ბრძანება ძალაშია 2018 წლის 26 ივნისიდან.

მინისტრი
ლევან იზორია

